მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში პირველად ბაკურიანში გაიმართება!

ბორჯომი

16 თებერვალი
ხუთშაბათი
2023 წელი
№8 (9270)

...რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი: ველოდებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 11 თებერვალს ბაკურიანში განაცხადა, სადაც ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოები და ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

- მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ. სამი ახალი საბაგირო ავაშენეთ, ექვსი ახალი ტრასა მოეწყო და 30 კილომეტრის მანძილზე ახალი გათოვლიანების სისტემა. ეს არის ყველაზე თანამედროვე სისტემა, რომელიც დამონტაჟდა ბაკურიანში. ჩვენ ველოდებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას, რომელიც ოფიციალურ სტარტს აიღებს 18 თებერვალს და 5 მარტამდე გაგრძელდება. დიდი პატივია, რომ ვუმასპინძლოთ ამ ჩემპიონატს. 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში. ყველაფერი, რაც აქ გაკეთდა, დარჩება ბაკურიანს და საქართველოს. ჯამში, 270 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ და ეს უნიკალური ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სისტემები მოეწყო იმისათვის, რომ ღირსეულად ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატი.

ასევე გეტყვით, რომ ჩვენ დავიწყეთ მზადება 2025 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩასატარებლად. ვგეგმავთ, მოვაწყოთ, აღვადგინოთ ტრამპლინები, სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა შეიქმნება ამ ლიმპიადის ფარგლებში. ბაკურიანი უნდა იყოს მუდმივად მზად, რათა უმასპინძლოს ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატებს. რა თქმა უნდა, დამსვენებელი უნდა იყოს კმაყოფილი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი და ჩვენ ყველას ეს გვახარებს. ასე რომ, გილოცავთ ყველას, საქართველო მზად არის, რომ უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს.

დიდი პატივია, რომ ვუმასპინძლოთ ამ ჩემპიონატს. 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში. ყველაფერი, რაც აქ გაკეთდა, დარჩება ბაკურიანს და საქართველოს. ჯამში 270 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ და ეს უნიკალური ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სისტემები მოეწყო იმისთვის, რომ ღირსეულად ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატი. - განაცხადა, - ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჩემპიონატს ღირსეულად ჩავატარებთ!“

ეკატერინე ორჯონიკიძე, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი: - მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება ჩვენს ქვეყანაში, და ამ დროს იქმნება შესაბამისი, საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა. ეს ინფრასტრუქტურა რასაკვირველია ჩემპიონატის შემდეგაც გამოვიყენებთ. ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა ბაკურიანისთვის და კონკრეტულად ამ ჩემპიონატისთვის, პრემიერის მიერ ინიცირებული რეგიონების განახლების პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა ღობეები, განახლდება ფასადები, მოწესრიგდა ბაკურიანის იერსახე. აგრეთვე მოწესრიგდა ორკილომეტრნხევრიანი გზის მონაკვეთი დიდველის მიმართულებით, თავის საფეხმავლო ბილიკით და განათების სისტემით. ეს არის ორწლიანი პროექტი და გაგრძელდება გაზაფხულის დადგომისთანავე კეთილმოეწყო „ოცდახუთიანის“ სასრიალო არეალი და მისი მიმდებარე ტერიტორია. როგორც იცით, ამ ტერიტორიაზე იქნება ჩემპიონატის გახსნა-დახურვა და მუდმივი გასართობი სივრცე ჩემპიონატის მსვლელობისას. გამოყოფილია საპარკინგე სივრცეები, რადგან ჩემპიონატთან დაკავშირებული შეზღუდვები გადაადგილებასთან დაკავშირებით ნაკლებად დისკომფორტული იყოს დამსვენებლებისათვის. მუდმივად იმოძრავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ასევე მკაცრად ვაკონტროლებთ მანქანებს, რომლებიც გადაადგილდებიან ზაფხულის საბურავებით, ზუსტად ასეთები ქმნიდნენ საცობებს. ახლა ასეთი ავტომანქანები უბრალოდ აღარ დაიშვებიან ბაკურიანში. წაღვერში არის ბლოკპოსტები, სადაც კონტროლდება თითოეული მანქანა, რომელიც ბაკურიანისკენ მოემართება. ამაში ძალიან გვეხმარება საპატრულო პოლიცია, რაც ჩვენი სააგენტო შეიქმნა, ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი ყველაზე დიდი დასაყრდენია დასუფთავების და სატრანსპორტო სამსახურები, ამ ჩემპიონატის დროს ყველაზე დიდი დატვირთვა სწორედ ამ სამსახურებს აქვთ, მათი შრომა დაუფასებელია. ამ კუთხით ნამდვილად მზად ვართ და არანაირი პრობლემა არ შეიქმნება. რაც შეეხება კვებას, დისტრიბუციას არ შეექმნება პრობლემა და ჩემპიონატის გრაფიკს მოერგება. ვთვლი, რომ ჩემპიონატს ღირსეულად ვხვდებით.

ჩემპიონატი ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას

ბესიკ ამირანაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული

16 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ბაკურიანში სნოუბორდის, ფრისტაილისა და ფრისკოს მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, რისთვისაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა მოეწყო.

მსოფლიო ჩემპიონატი, „ბაკურიანი 2023“ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს სათხილამურო ფედერაციის (GSF) და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ორგანიზებით გაიმართება. სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მთის კურორტების განვითარების სააგენტო, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და ბაკურიანის განვითარების სააგენტო.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩვენი რეგიონისა და ქვეყნისთვის გაწეულ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დროშა საქართველოშია და 2025 წელს ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ჩემპიონატს ბაკურიანი უმასპინძლებს.

ვულოცავთ სამცხე-ჯავახეთს და სრულიად საქართველოს ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი მხარის საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციასა და განვითარებას.

ბაკურიანს დიდ მომავალს ვუსურვებ

ანტონ ობოლაშვილი, პარლამენტარი.

ძვირფას ბორჯომელებს, ბაკურიანელებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ბაკურიანში ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებას.

ჩვენთვის დიდი პატივია ვუმასპინძლოთ ჩემპიონატს, რომელშიც 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატი პირველად ტარდება, რაც ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის უდიდესი საწყისია. საქართველოს მთავრობა უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა ამ უდიდესი მოვლენის ღირსეულად დახვედრისთვის. შეიქმნა უმაღლესი ხარისხის ინფრასტრუქტურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უშუალო ჩართულობითა და ინვესტირებით.

ბაკურიანის, როგორც სამთო-სათხილამურო კურორტის აღმავლობის ხანა ცნობილი ქართველი მოთხილამურის, გიორგი ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. 1935 წელი კი ბაკურიანის, როგორც სათხილამურო ცენტრის დაბადების წელია.

სწორედ ბაკურიანმა გამოგვიზარდა ცოცხალი ლეგენდა, ტრამპლინიდან ხტომაში ოთხი ოლიმპიადის მონაწილე, „მფრინავ ტორპედოდ“ სახელდებული, დამსახურებული სპორტსმენი, ბატონი კობა წაქაძე, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში 54-ჯერ მოიპოვა გამარჯვება, ადამიანი, რომელიც მუდმივად იქნება ჩვენი ქვეყნის სიამაყე და ახალგაზრდა სპორტსმენების მუდმივი შთაგონება.

კურორტი მიმზიდველია თავის ბუნებრივი რესურსებით და ერთ-ერთ საუკეთესო სამთო კურორტად ითვლება მსოფლიოში, ამიტომ ის ნამდვილად იმსახურებს მასპინძლობდეს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც წლევანდელი ჩემპიონატია.

მინდა წარმატება ვუსურვო ჩემპიონატში მონაწილე ყველა სპორტსმენს, განსაკუთრებით კი ქართველ სპორტსმენებს!

უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია

ოთარ არგოლიშვილმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

„სრულიად საქართველოსთვის დიდი პატივია, რომ ბაკურიანი მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში, სოუბორდსა და ფრისკიში. ბაკურიანი - 2023 საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გაიმართება და მასში იასპარეზებს 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი.

„ბაკურიანი 2023-ის“ ფარგლებში დაბა ბაკურიანში

მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ. აშენდა სამი ახალი საბაგირო, მოეწყო 6 ახალი ტრასა, შეიქმნა 30 კილომეტრის მანძილზე ახალი გათოვლიანების სისტემა.

მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება უდიდეს პასუხისმგებლობას გვავალდებულებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიება წარმატებით ცავატაროთ.

ეს ერთი და სხვა მრავალი!

დავით ზაალიშვილი, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს. სერიოზული ორგანიზატორული ღონისძიებები განხორციელდა ბორჯომშიც და ბაკურიანშიც ამ მეტად მნიშვნელოვანი ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ პირნათლად შეასრულა ზემდგომი ორგანოების მითითებები და საფუძვლიანი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა მთელი რიგი ობიექტების მშენებლობის ხარისხიანად და დროულად მწყობრში ჩადგომისათვის.

ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ხელს შეუწყობს ჩვენს ხეობაში კიდევ უფრო განვითრდეს სამთო ტურიზმი და სპორტის ზამთრის სახეობები.

ახლა მთავარია, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ თანამედროვე სპორტულ ნაგებობებს და მთლიანად ბაკურიანის ინფრასტრუქტურას.

გილოცავთ საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას. ეს ერთი და სხვა მრავალი..!

ბაკურიანი 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია!

საჩემპიონატო მზადებას ადგილზე გაეცნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებისგან მოისმინა დეტალური ინფორმაცია მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებისთვის გაწეული სამუშაოების შესახებ.

როგორც უწყებათაშორისი ჯგუფის წარმომადგენლებმა მთავრობის მეთაურთან აღნიშნეს, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატს საქართველო ღირსეულად გაართმევს თავს და მსოფლიო რუკაზე საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს ზამთრის ტურიზმის მიმართულებით. ახალი ინფრასტრუქტურა კი, სამომავლოდ ბაკურიანში ჩასულ დამსვენებლებს მოემსახურება.

სამუშაო თათბირს ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი,** მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლერი ბარნაბიშვილი,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები - **რომეო მიქაუტაძე და მარიამ ქვრივიშვილი,** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **იოსებ ბალათურია,** შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **ვაჟა სირაძე,** ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **მაია ომიაძე,** მთის ტრასების სააგენტოს ხელმძღვანელი **ირაკლი ბურჭულაძე,** სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კოსტავა,** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი **ეკა ორჯონიკიძე,** პარლამენტის დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან **ლევან დავითაშვილთან** და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან **ლერი ბარნაბიშვილთან** ერთად ბაკურიანში დიდველის ტბა და სატუმბი შენობა-ნაგებობა დაათვალიერა.

მთავრობის მეთაური ადგილზე გაეცნო ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოწყობილ ხელოვნური გათოვლიანების სისტემასა და ხელოვნურ რეზერვუარებს და მოისმინა ინფორმაცია სპეციალურად ჩემპიონატისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურის შესახებ.

16 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით, ბაკურიანში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 42 ქვეყნის, მათ შორის, ავსტრიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდების, ავსტრალიის, ჩინეთის, იაპონიის,

ხელოვნური გათოვლიანების სისტემა მზადყოფნაშია

თამაზ გამცემლიძე, *მთის ტრასების განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე:* -ძალიან დიდი სამუშაოები გავწიეთ, რომ ღირსეულად გვემასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატისათვის. აშენდა ორი ხელოვნური ტბა გათოვლიანების სისტემისათვის 3 მილიონი ლიტრის მოცულობის. ეს უკვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ბაკურიანისთვის, რადგან ვხედავთ, რომ თოვლიანი სეზონი ყოველწლიურად მცირდება. წელს შეიძლება ითქვას, რომ დეკემბერსა და იანვარში თოვლი საერთოდ არ იყო. მოვიდა თებერვლის დასაწყისში, თუმცა არ იყო საკმარისი ტრასების ამუშავებისთვის. და ამიტომ, რომ არა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, ნამდვილად საფრთხის ქვეშ იყო ტურნირის ჩატარება. ახლა მშვიდად ვართ, მთავარია იყოს შესაბამისი მინუს ტემპერატურა, გაიტესტა ჩვენი გათოვლიანების სისტემა, ყველა ექსპერტი კმაყოფილია. საბოლოო მომზადების ეტაპიც გავიარეთ - ეს იქნება უსაფრთხოების ბალიშების და ბადეების დამონტაჟება და სხვა. ამ ხელოვნური გათოვლიანების სისტემის დამსახურება იქნება, რომ პრინციპში ჩვენ შევძლებთ ტრასების დროულად გახსნას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია ქვეყნის ტურიზმის განვითარებისათვის. ჩვენი ყველას სურვილია, რომ ჩემპიონატის მსვლელობის დროს იყოს განსაკუთრებული ჯანსაღი გარემო ყველა ასაკის ადამიანისათვის, ვეცდებით, რომ იყოს გახსნილი ტურისტული ტრასებიც, რათა დამსვენებელმა ჩემპიონატის მსვლელობის დროს შეძლოს სრიალი. თუმცა ასეთი მასშტაბური ღონისძიების მსვლელობისას, რაღაც დისკომფორტული სიტუაციები მაინც ექნება დამსვენებელს და ეს გასათვალისწინებელი და გასაგებიცაა. მაგალითად, როგორც უკვე დაანონსა ბაკურიანის განვითარების სააგენტომაც, დიდველამდე და კოხტამდეც მანქანებით გადაადგილება შეიზღუდება, იმოძრავებს მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ნებისმიერ შემთხვევაში საშეჯიბრო ტრასებამდე მოსვლა უპრობლემო იქნება, ნებისმიერ მსურველს შეეძლება ნებისმიერი მისთვის მოხერხებული ადგილიდან ადევნოს თვალი შეჯიბრს. „ევროსპორტი“ გადასცემს პირდაპირ ტრანსლაციებს და ეს ძალიან გვეამაყება, რომ ბაკურიანი იქნება ამ ორი კვირის მანძილზე ზამთრის სპორტის ამ კონკრეტული სახეობების და ზოგადად სრიალის, ზამთრის, ექსტრიმის მოყვარულთა ყურადღების ეპიცენტრში. ჩემპიონატის გახსნა, როგორც უკვე ცნობილია იქნება 18 თებერვალს, ხოლო 19-იდან ყოველდღიურად იქნება შეჯიბრებები.

მწამს, საქართველო კიდევ უფრო გაბრწყინდება

ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულება. მთელი ცხოვრების მანძლზე ვოცნებობდი მსოფლიო ჩემპიონატი ჩემს მშობლიურ ბაკურიანში ჩატარებულიყო, მაგრამ სპარტაკიადების და ცელკეული დიდი შეჯიბრებების მეტი ვერაფერი ჩავატარეთ. მახარებს ის დიდი ფერისცვალება, რაც ბაკურიანში შეინიშნება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სათხილამურო ტრასების, საბაგირო ადგილების მოწყობა, თვითონ ბაკურიანის იერსახეც მნიშვნელოვნად შეიცვალა.

სასიხარულოა ისიც, რომ ქვეყნის პრემიერ მინისტრი ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** შეგვპირდა 2025 წლისთვის ტრამპლინებიც აღდგებაო. მწამს, მეც მოვესწრები მშობლიური ბაკურიანის ცაში ტრამპლინიდან აფრენილ შევარდნებს.

წარმატებას ვუსურვებ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს. გულით ვხარობ, ბაკურიანის სახელის მსოფლიოში გატანას, მრავალი ასეთ შეჯიბრის მნახველები ყოფილიყვნენ მშობლიური საქართველოს მშრომელები, სპორტი ხომ მშვიდობის დესპანია მსოფლიოში. მჯერა, საქართველო კიდევ უფრო გაბრწყინდება.

კობა წაძაძე
სპორტის დამსახურებული ოსტატი

მოვალეობას პირნათლად ვასრულებთ

ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების მიზნით შ.პ.ს. „მშენებელი“ - 2012“-მა გასულ და მიმდინარე წელს 800 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულა. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ბაკურიანი-მიტარბის დამაკავშირებელ გზაზე. თოვლის მოსვლის შემდეგ ბაკურიანში 20 ერთეული ტექნიკა მუშაობს, გზების გაწმენდა და მარილის დაყრა უმნიშვნელოვანესია და ამ მიზნით ბაკურიანში სადღეღამისო პუნქტი ამოქმედდა. მძლავრი ტექნიკა და მუშახელი მზადყოფნაშია, ასევე სადღეღამისო უამრავი პუნქტებია შექმნილი ქვიშხეთში, ბორჯომის გასასვლელში, არდაგანსა და ჩითახევში.

ჩვენი კოლექტივის უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია ღირსეული წვლილი შევიტანოთ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაში. სწორედ ამ სულისკვეთებით ვშრომობთ და ყველაფერს ვაკეთებთ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის,

ვახტანგ კაპანაძე,
შ.პ.ს. „მშენებელი 2022“-ის ხელმძღვანელი.

ვგულშემატკივრობთ ქართველ სპორტსმენებს

ბაკურიანში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის მნიშვნელობაზე უკვე ბევრი ითქვა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მასში ჩვენი ათლეტების მონაწილეობა. ორი აზრი არაა, გამორჩეული გულანთებით ჩვენებურებს ვუგულშემატკივრებთ და მათთვისაც განსაკუთრებული პატივი იქნება მშობლიურ კედლებში წარმატების მიღწევა.

საქართველოს მსოფლიო ჩემპიონატზე 6 ატლეტი წარადგენს. განსაკუთრებით საამაყოა ბაკურიანისთვის რომ ორი მათგანი ბაკურიანელია. მოთხილამურე **დავით თედიაშვილს** წარდგენა არ სჭირდება. ის, როგორც ჭეშმარიტი ბაკურიანელი ბავშვობიდანვე დგას თხილამურზე. მეტიც, ის ერთ-ერთი პირველია, ვინც საქართველოში სკი კროსის განვითარება დაიწყო და მის ფუძემდებლადაც მიიჩნევა.

დავითი არაერთი საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულია. წლევანდელი ჩემპიონატისთვის განსაკუთრებით ემზადება, რადგან ასეთი მნიშვნელობის ღონისძიება მის მშობლიურ ბაკურიანში პირველად ტარდება.

ბექა ბერძენიშვილიც ბაკურიანელი მოთხილამურეა და მანაც სრიალი ფეხის ადგმასთან ერთად დაიწყო. პროფესიონალ სპორტსმენობაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. თავიდან სამთო-მოთხილამურე იყო, შემდეგ კი სკი კროსის დისციპლინას დაეუფლა.

ბექა მონაწილეობდა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) არაერთ სარეიტინგო შეჯიბრებაში, რომელშიც წარმატებით იასპარეზა. 2021 წელს ჩეხეთში მესამე ადგილიც მოიპოვა. 2022 წელს მეორე ადგილის მფლობელი გახდა, ხოლო ევროპის თასზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, გაიუმჯობესა ქულები, რაც წელს მშობლიურ კუთხეში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს.

ჩემპიონატის მონაწილეა, **ლუკა ჩოფიკაშვილი** საქართველოს სამგზის გამარჯვებულია სლოუფსტაილში. გერმანიაში, ევროპის თასზე მე-14 ადგილი ბიგ ეარში დაიკავა, ხოლო ბოსნიაში, სლოუფსტაილის დისციპლინაში მე-3 ადგილის მფლობელია. ბოლო ერთი წელია აქტიურად იღებს მონაწილეობას ევროპის თასის გათამაშებაში.

სნოუბორდერი **რევაზ ნაზლაიძე,** 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სნოუბორდის პარალელურ გიგანტურ სლალომის და პარალელურ სლალომში მონაწილეობის მისაღებად ემზადება. რევაზი საქართველოს რვაგზის ჩემპიონია და არაერთხელ ასახელა საქართველო საერთაშორისო ჩემპიონატებზე. პარალელურ გიგანტურ სლალომში ფინალური შეჯიბრება 19 თებერვალს, დიდველზე გაიმართება.

ბაკურიანელი მოთხილამურე **ლაშა კურტანიძე** 3 წლის ასაკიდან სრიალებს, 12 წლიდან კი საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ნაკრების წევრია.

ალპაინის სახეობაში ლაშა საქართველოს მრავალგზის აბსოლუტური ჩემპიონია, 2021 წლიდან კი სწორედ ამ სახეობაში შემოუერთდა სკი კროსის გუნდს.

ბუთა ელოშვილი საქართველოს თასის მრავალგზის გამარჯვებულია. მან 2020 წელს სლოვაკეთში FIS-ის ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებაში მე-2 ადგილი დაიკავა და ბოლო ერთი წელია აქტიურად იღებს მონაწილეობას ევროპის თასის გათამაშებაში.

წარმატებები ჩვენს სპორტსმენებს.

`ბევრმა არ იცოდა, საქართველოში ამხელა მთები რომ გვაქვს

„5-10 წლიწადში საქართველოში უმაღლეს დონეზე იქნება ზამთრის ტურიზმი და სპორტი!“

რამდენიმე დღეში საქართველო ზამთრის სპორტის ეპიცენტრი იქნება: 16 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, ბაკურიანში ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ზამთრის სახეობებში პირველად ვმასპინძლობთ ასეთი მასშტაბის ტურნირს: ასობით მონაწილე, ათასობით სტუმარი და 200 მილიონამდე ტელემაყურებელი ასეთია „ბაკურიანი-2023“ ციფრებში. თუმცა ციფრებზე მნიშვნელოვანი თავად ამ რანგის ტურნირის მასპინძლობის ფაქტია და ის შედეგები, რაც დაგვრჩება: ახალი ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაზრდილი ცნობადობა, პოპულარობა, ნდობა და სხვა. კარს მომდგარ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ პოსტავას ვესაუბრეთ:

- საერთაშორისო ფედერაციის განრიგის თანახმად, იანვრის ბოლოდან მარტის პირველ კვირამდე მსოფლიო პირველობა სათხილამურო სპორტის ოთხივე სახეობაში უნდა გაიმართოს. კურშეველსა და მერიბელში 19 თებერვლამდე გაგრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი სამთო თხილამურობაში. 16 თებერვლიდან ეპიცენტრი ბაკურიანში გადაინაცვლებს, პარალელურად კი სლოვენიაშიც გაიმართება თხილამურებით სრბილის ჩემპიონატი. ახლა კურშეველში ვარ (ინტერვიუ ჩაწერილია 8 თებერვალს. რ.შ.), სადაც მოგვიწვიეს მე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **მარიამ ქერვიშვილი,** მთის ტრასების სააგენტოს უფროსი **ირაკლი ბურჭულაძე** და **გიორგი რამიშვილი.**

- ბაკურიანში ყველაფერი მზად არის უმნიშვნელოვანესი ტურნირის მასპინძლობისათვის?

- დიახ, მხოლოდ მცირე სამუშაოა დარჩენილი და რამდენიმე დღეში ყველა სეგმენტი მზად იქნება. საშეჯიბრებო ტრასები საერთაშორისო ფედერაციის თანამშრომლებმა და დაქირავებულმა უცხოელმა პარტნირებმა მოაწყვეს წესების თანახმად, მასპინძელ მხარეს ეკრძალება ტრასების აგება, რათა ადგილობრივი სპორტსმენების რაიმე სახის უპირატესობა გამოირიცხოს. რაც შეეხება სტუმრებს, ამ დროისთვის დაახლოებით 1700 დარეგისტრირებული სპორტსმენია, მწვრთნელები, დამხმარე პერსონალი. ჩამოვლენ საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები, ექიმები, მსაჯები, ჟურნალისტები და სხვ. მსოფლიო პირველობა ორ წელიწადში ერთხელ იმართება, 2021 წლის ჩემპიონატი კი პანდემიის გამო გაუქმდა, ამიტომაც წლევანდელ ტურნირს ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და გაორმაგებული მოტივაციით ელის. შესაბამისად, ბაკურიანში თითქმის ყველა ტოპ-სპორტსმენს ვნახავთ: ოლიმპიურ ჩემპიონებს, წინა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. საქართველო მეთექვსმეტე ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს და 16 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ზამთრის სპორტის ეპიცენტრი იქნება.

- ხელოვნური გათოვლიანების ახალი სისტემების წყალობით საშეჯიბრებო ტრასებს თოვლის ნაკლებობა არ ემუქრება. თუმცა კარგია, რომ რამდენიმე დღის წინ ბაკურიანში მოთოვა კიდეც და ტურისტული მარშრუტებიც თეთრი იქნება.

- ბოლო 20 წელიწადია, საშეჯიბრებო ტრასების 90 პროცენტი, მთელ მსოფლიო-ში ხელოვნური თოვლით არის დაფარული. კარგია, რომ მოთოვა და ტურისტული ტრასებიც გაიხსნა. ეს ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან სპორტსმენებს ჰყავთ ფანკლუბები, ოჯახის წევრები, მეგობრები და ჩამოსულთაგან რაც უფრო მეტი ისრიალებს, მით უკეთესი იქნება ტურიზმის განვითარებისთვის.

- საორგანიზაციო საკითხების გარდა მნიშვნელოვანია ქართველი სპორტსმენების ასპარეზობაც. ამ მხრივ რას ველით?

- სლოუფსტაილში ვნახავთ ლუკა ჩოფიკაშვილსა და ბუთა ელოშვილს. პარალელურ გიგანტურ სლალომში იასპარეზებს **რევაზ ნაზლაიძე.** სკიკროსში გამოვა **დავით თედიაშვილი,** ქულების დაგროვების შანსი ჯერ კიდევ აქვს კურტანიძესაც და ვფიქრობ, ისიც მოიპოვებს ასპარეზობის უფლებას, რაც შეეხება ქართველი სპორტსმენების შანსებს, გამარჯვების ნებისმიერ მონაწილეს ექნება! სათხილამურო სპორტში ოლიმპიური მედალოსნებიც გამხდარან სპორტსმენები, რომლებსაც მანამდე არც ერთი ტურნირი არ ჰქონდათ მოგებული. კონკურენცია დიდია, ფავორიტები აუცილებლად გარისკავენ და იმედია, მონდომება ჩვენს სპორტსმენებსაც დაუფასდებათ.

- ზამთრის სახეობებში რამდენად მნიშვნელოვანია „საკუთარი მოედნის“ ფაქტორი?

- გააჩნია სპორტსმენს: შეიძლება მშობლიური გარემო დაეხმაროს ან პირიქით, უარყოფითად იმოქმედოს მასზე. ასეთი მასშტაბის ტურნირი საქართველოში პირველად იმართება, ბევრი იქნება შინაური მაყურებელიც: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და სხვ. თუმცა იმედია, ხელის შეშლაზე მეტად, ეს ყველაფერი სტიმული იქნება ჩვენი ბიჭებისთვის.

რამდენიმე დღის წინ გამართული პრეზენტაციის დროს „ბაკურიანი 2023“-ის მასპინძლობა „მართვის მოწმობის აღებას“ შეადარეს. ამ რანგის ტურნირის წარმატებით მიღება მართლაც „მწვანე შუქის ანთება“, ახალ სიმაღლეზე ასვლა იქნება ქართული სათხილამურო სპორტისა და კურორტებისთვის.

- სპორტის იმ სახეობებში, სადაც წარმატებები ტრადიციად გვაქვს, გაცილებით ადვილია უმაღლესი რანგის ტურნირების მასპინძლობაზე განაცხადის შეტანა. სათხილამურო სპორტში კი კობა წაქაძის შემდეგ, არც გვყოლია მისი მასშტაბის სპორტსმენები და რთულია დიდი ტურნირის მასპინძლის სტატუსის მიღება. მით უმეტეს, რომ უმეტესწილად ჩემპიონატები ერთი და იმავე ქვეყნებში იმართება. საერთაშორისო ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ამ არეალის გაზრდას ცდილობს და უკვე საქართველოც იქნება იმ ქვეყანას შორის, სადაც მსოფლიო ჩემპიონატები გამართულა. ამიერიდან სათხილამურო სამყარო გაცილებით ბევრს გაიგებს საქართველოს შესახებ. არადა, ბევრმა არც იცოდა, საქართველოში ამხელა მთები რომ გვაქვს, ავიწყდებათ, რომ კავკასიონის მთიანეთში ალპებზე მაღალი მწვერვალებია.

- თქვენ გინახავთ მსოფლიოს თითქმის ყველა სამთო-სათხილამურო კურორტი, მათ ფონზე, როგორ შეაფასებთ ჩვენი ზამთრის კურორტების პოტენციალს, სად უნდა ვიყოთ და სად ვართ?

- მოვლილი მაქვს თითქმის ყველა უმაღლესი დონის კურორტი. გარდა ამისა, ბოლო რვა წლის განმავლობაში მომისმენია უამრავი საერთაშორისო ექსპერტის შეფასება. გაოცებული არიან! ზღვის დონიდან 1300-1500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე კურორტები არავის უკვირს, მაგრამ ბაკურიანის მსგავსი, 1700-1800 მეტრი სიმაღლის პლატო იშვიათია. გუდაური აეროპორტიდან მხოლოდ 100 კილომეტრით არის დაშორებული. ქვეყნის დედაქალაქთან ასე ახლომდებარე კურორტს, ამხელა სასრიალო მასივითა და არეალით, მხოლოდ რამდენიმეს თუ ჩამოვთვლით. მსოფლიო მასშტაბით, სათხილამურო სპორტის მოყვარული დაახლოებით 400 მილიონი ტურისტია, რომლებიც 4-5 თვის განმავლობაში სხვადასხვა სათხილამურო კურორტს სტუმრობენ. 1-მა მაინც რომ მიიღოს ინფორმაცია საქართველოს სათხილამურო კურორტების შესახებ, 0,5 ერთხელ მაინც რომ ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა შედეგს მივიღებთ?! ლამაზია კურშეველიც, სენტმორისიც, კიცბუელიც და სხვა. მაგრამ ევროპელებმა იქაურობა უკვე ზეპირად იციან, უცხო ქვეყანას, ტრასებს, ახალ მთებს კი სხვა ხობლი აქვს, მით უმეტეს, როცა ამ ყველაფერს ქართული მასპინძლობა, ჩვენი მთების და ქალაქების სილამაზეც ემატება. დარწმუნებული ვარ, 5-10 წელიწადში საქართველოში უმაღლეს დონეზე იქნება ზამთრის ტურიზმი და სპორტი!

- ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის შემდეგ, გაჩნდება კიდეც ახალი ათვლის წერტილი 2023 წელი!

- ზამთრის ტურისტების 95 დეკემბერ-იანვარში ერთი და იმავე ადგილს სტუმრობს ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად. ყოველ ზამთარს დადიან და ზეპირად იციან, სად იცხოვრებენ, ისრიალებენ, გაერთობიან და ა.შ. მერე კი, თებერვალ- მარტში, ახალი ადგილების აღმოჩენას ცდილობენ: როცა შეიტყობენ, რომ გამოჩნდა ახალი მიმართულება, თანაც, ქვეყანა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ სანდო და საინტერესო ადგილია!

- სანდო, საინტერესო და ექსტრემალურიც. მაგალითად, მესტია, გოდერძი და სხვა.

- გეთანხმებით. მესტიაში ვატარებთ კიდეც საერთაშორისო ტურნირს ფრირიდში (თავისუფალი სრიალი), რომელიც უკვე შევიდა საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში. მსოფლიო თასის ყველა წამყვანი სპორტსმენი ჩამოდის. წესების თანახმად, მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს კურორტზე, რომელიც. საერთაშორისო აეროპორტიდან ან საერთაშორისო სარკინიგზო სადგურიდან არაუმეტეს 3,5 საათის საავალზეა. როცა პირველად შევავსეთ განაცხადი 2014 წელს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი არ იყო დატვირთული ინტენსიურად. მას შემდეგ მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურაც, გაიზარდა აეროპორტისა და კურორტების დატვირთვა და, ბუნებრივია, ინტერესიც. წელს ბაკურიანში ჩამოსულ ყველა სპორტსმენსა და ტურისტს ეცოდინება, რომ საქართველოს ოთხი სამთო-სათხილამურო კურორტი აქვს!

- ტექნიკურ მხარესაც შევეხოთ: ზამთარში ბაკურიანის შიდა გზები აქამდეც გადატვირთული იყო ხოლმე და წარმომიდგენია, როგორ ხალხმრავლობა იქნება მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

- ვმუშაობთ ტრანსპორტის გადაადგილების სქემაზე, რა მარშუტებით, რაოდენობით, ინტენსივობით იმოძრავებს ტრანსპორტი. დეტალურად გავივლით და ინფორმაციას მივაწვდით საერთაშორისო ფედერაციას. ბაკურიანის პარალელურად, სლოვენიაში თხილამურებით სრბილში იქნება ჩემპიონატი და ტრანსლაციების გრაფიკი რომ არ აირიოს, ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს დაგეგმილი. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შემოდგომაზე შეთანხმდა, რადგან საქართველოში, სლოვენიასა და გერმანიაში (ბიატლონის ტურნირი) პარალელურად გაიმართება. შეჯიბრებებმა და ასპარეზობებმა ტრანსლაციებს ხელი არ უნდა შეუშალოს. სატელევიზიო ბადე ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან წინასწარი გათვლებით, დაახლოებით 200 მილიონი მაყურებელი ნახავს ბაკურიანში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს.

- აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ზამთრის სახეობების წარმატებაც იზრდება და პოპულარობაც. მოციგურავეები ყოველ წელს უმატებენ, ახლა თხილამურების დროა.

წლის პირველი წარმატება მოციგურავეების ანგარიშზეა და ჩვენს მეგობრებს ვულოცავ ევროპის ჩემპიონატის ისტორიულ ოქროს! ჩვენი მხრივ ყველაფერს ვაკეთებთ მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე მასპინძლობისთვის. თებერვლის ბოლოდან სპორტის სხვა სახეობებიც შემოგვიერთდებიან. სპორტი იძლევა სიამაყის, გაერთიანების, ცნობადობის ამაღლების შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი შეიტყობს საქართველოს, მისი კურორტების, სილამაზის, პოტენციალის შესახებ, ბაკურიანს დარჩება მსოფლიო პირველობისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურაც. წელს, მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით ოთხივე სახეობაში ა და ბ კატეგორიის 50-ზე მეტი შეჯიბრება გადაიდო, რადგან ზამთრის კურორტების უმეტესობაში თოვლის ნაკლებობა იყო. აღარ მოდის იმდენი თოვლი, რაც წინათ. ამიტომაც ყველა გადასულია ხელოვნური გათოვლიანების სისტემებზე. ამიტომაც ბაკურიანში დამატებულ სისტემებს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის სტატუსისა და ახალი ინფრასტრუქტურის წყალობით ამიერიდან საქართველო სულ იქნება იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც რეგულარულად იმართება უმაღლესი დონის ტურნირები! შემდეგ, ეს სტატუსი უნდა გადავიტანოთ გუდაურსა და მესტიაშიც.

- რას ეტყვის საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი სპორტის ქართველ მოყვარულებს - რატომ უნდა დაესწრონ „ბაკურიანი 2023“-ს?

- იმიტომ, რომ საქართველოს ზამთრის კურორტი პირველად მასპინძლობს ამ მასშტაბის ტურნირს! დასწრება უფასოა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისიამოვნოს შთამბეჭდავი სანახაობით. იქნება ულამაზესი, ექსტრემალური სანახაობა, ფრისტაილი, სნოუბორდი, ფრისკი ხომ მხოლოდ სპორტის სახეობები არ არის - ეს არის ერთგვარი შოუ, იქნება მუსიკა, სხვადასხვა აქტივობა და გასართობი ღონისძიება. პროტოკოლის თანახმად, ამ ოთხ სახეობას მოჰყვება დიჯეიც და... გუგუნი უნდა მიდიოდეს შთამბეჭდავი ასპარეზობების ფონზე.

მთელ საქართველოს ვუსურვებ, წარმატებით გავართვათ თავი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩვენთვის ახალი ათვლა დაიწყება!

რატი ჯელეგია

ვულოცავთ!

ბორჯომის ავტოსადგურის უხუცეს და უსაყვარლეს დისპეჩერს ბატონ **თამაზ ბარათაშვილს** ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადების 90 წლისთავს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მოხუცებულობის წლებს შვილთან, რძალთან, შვილიშვილთან, ნათესავებთან, მეგობრებთან ერთად.

იშვიათია ბატონ თამაზის მსგავსი ყურადღების, სითბოს სიყვარულის გამომხატველი ადამიანები.

ღმერთმა 100 წლამდე გვიცოცხლოს ბორჯომელთა მოსიყვარულე, გულთბილი და უღალატო პიროვნება, ბატონი თამაზი!

ჯუმბერ ხიჯაკაძე,
ბორჯომის ავტოსადგურის უფროსი.

ჩვენს ღვაწლმოსილსა და წარმატებულ პედაგოგს

ეთერ ხრიკაძეს

ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ღვთის წყალობას.

ბორჯომის სამუსიკო სკოლის თანამშრომლები.

ჰოეზია

ბაკურიანი

ბაკურიანი - მიძღვნა გვიანი,
თუმცა ხმიანი,
სიტყვაფხიანი,
სულმადლიანი.
ბაკურიანი - მიწა თორისა,
მთები თოვლისა,
გზები ყოვლისა,
ბაკურიანი - ტყეები მიცდის...
სურნელი წიწვის,
სურნელი მიწის,
მზე მთებზე იწვის.
ბაკურიანი - ოზონი უხვი,
გარუჯვა რუხი,
ხეები მუხის...
ბალახი პუხის.
ბაკურიანი - სამეფო თოვლის,
ოცნება ყოვლის....
სამზერი ორბის,
სურვილი მოვლის.
ბაკურიანი - თხილამურები...
გეწვის ყურები,
ძოდის ურემი,
გზები ულევი...
ბაკურიანი - კოხტა, დიდველი,
ტრასა მთისველი...
რაც თავი მახსოვს
სტუმარს მიელი...
ბაკურიანი - თოვლის ტრასები,
გზა ალმასები...
სწორი ნაზები,
ოქროს თასები.
ბაკურიანი - მასპინძლის სახე,
რაც დავინახე!..
დავისვენე და
მიზანი ვსახე.
ბაკურიანი - კურორტი ზამთრის,
კუკუშკა დაჰქრის...
თხილამურებით
გამოჰყევ მარხილს.

მარიზა ჯიძია,
პოეტი, ექიმი, პედაგოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

თებერვალი

თეთრი ცხენების თებერვალი ბახუსს გადაჰყვა,
სუფრა აშლილმა ფერდობებზე ფეხი არია,
დაებნა მძივი, მოხვეული წყეულის ყინით
და უთვალავი ციცქნა ია, სულ ძირს აბნია...
წყალი ჩამდგარა ხეში თურმე, ჩამდგარა წყალი...
ისმის ნაყური ბროლის წვეთის გრძელი არია...
გადაათოვა ია-იას უდროო წადილს,
კორიანტელი მზის ჰანგებში არივ-დარია.
ცა გააბრუა დღენაკლული კალენდრის როკვამ,
ბოლოქანქარამ ცას ახედა - წყალი დალია...
გამოიდარებს! უეჭველი გამოიდარებს,
ეს თვეც ცხრათვალა მზის,
ცხრა ნატვრის ერთი ცალია.

ნინო ხოტივარი-ლომიძე

რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია გულწრფელად გილოცავს დაბადების დღეს, გისურვებს შემოქმედებით წარმატებას და ოჯახურ ბედნიერებას.

ბაკურიანში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია

ბაკურიანში, მსოფლიო ჩემპიონატის უპირველესში, სპორტსმენთა და ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილებისთვის, ამოქმედდა საგრანსპორტო შეზღუდვები:

15 თებერვლიდან - 27 თებერვლის ჩათვლით, 10:00-დან - 16:00 საათამდე, საავტომობილო მოძრაობა და პარკირება იზღუდება რუმსი-კოხტას საბაგიროდან სასტუმრო მგზავრებამდე.

15 თებერვლიდან - 5 მარტის ჩათვლით, იგივე შეზღუდვა მოქმედებს დიდველის ავტოსადგომიდან ე.წ. კუთხის ნიკორამდე.

15 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, 09:00-დან 17:00 საათამდე, დაბა ბაკურიანში მგზავრების გადაადგილებას უზრუნველყოფს მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც იმოძრავებს სპეციალურად ჩემპიონატისთვის დანიშნული მარშრუტებით. მათ შორის, სრულად შეზღუდულ მონაკვეთებზე - კოხტა-მიტარბისა და დიდველის საბაგიროებამდე.

16:00 საათიდან დილის 10:00 საათამდე, საავტომობილო მოძრაობა შესაძლებელია შეუზღუდავად.

შეზღუდვებით გამოწვეული დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად, გახანგრძლივდა კოხტა-მიტარბისა და დიდველის საბაგიროების მუშაობის დრო - 09:00-დან 18:00 საათამდე.

გაითვალისწინეთ, საბაგიროებთან არსებულ ავტოსადგომებზე 10.00-დან - 16.00 საათამდე, დგომა დაშვებულია მხოლოდ ჩემპიონატის ავტომობილებისთვის.

ჩემპიონატის მიმდინარეობისას, მოწყობილია უფასო და ფასიანი ავტოსადგომები ვიზიტორებისთვის, შემდეგ არეალებში:

სასტუმრო „მგზავრების“ მოპირდაპირე მხარეს (შესვლა 9 აპრილის ქუჩიდან);

25-იანების გვერდით და მოპირდაპირე მხარეს;

მუნიციპალური ავტოსადგომი ყოფილი სკოლის ტერიტორიაზე.

15 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, ორივე მონაკვეთზე:

რუმსი-კოხტას საბაგიროდან სასტუმრო მგზავრებამდე;

დიდველის სადგომიდან ე.წ. კუთხის ნიკორამდე.

გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს არასწორი პარკირების აღკვეთა მოხდება 24 საათის განმავლობაში.

არასწორი პარკირების აღკვეთა ასევე ხდება:

სასტუმრო მგზავრებიდან ე.წ. კუთხის ნიკორამდე;

ე.წ. კუთხის ნიკორადან ანდეზიტის მიმართულებით პირველ გზაჯვარედინამდე;

დაბა ბაკურიანის ცენტრალურ ქუჩაზე.

ყველა ზემოხსენებულ მონაკვეთზე, აკრძალულია საჭაპანო და საპალნე ტრანსპორტის, დასაჯდომი ცხოველებისა და მოტოტრანსპორტის მოძრაობა.

გპირდებით დაუვიწყარ ემოციებს!

„ბაკურიანი 2023“-ის ფარგლებში მთის კურორტების სააგენტოს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ე.წ ოცდახუთიანების მიმდებარე ტერიტორიაზე დიდ სპორტულ სანახაობასთან ერთად, სოფელში დაგეგმილი აქტივობები დაუვიწყარ ემოციებს გპირდებათ.

ოთხი გრანდიოზული მუსიკალური შოუ, ქართველი არტისტების მონაწილეობით;

საბავშვო-გასართობი vorqSopebi;

სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება;

ადგილობრივების ხელნაკეთი ნივთებისა და სტარტაპების გამოფენა-გაყიდვა

სპორტული შეჯიბრების პირდაპირი ტრანსლაცია დიდ ეკრანზე;

კვების ზონა ფოტოზონები;

DJ პერფორმანსები - ყველა საშეჯიბრო დღის ბოლოს ჩემპიონატის სოფელი ღია იქნება ყოველდღე, დილიდან - ღამემდე;

ამოდი ბაკურიანში, არ გამოტოვო წლის მთავარი სპორტული სანახაობა!

ბაკურიანი, წლის მთავარი სპორტული მოვლენის მასპინძელი, დიდი მხიარულებისა და გართობის ადგილადაც იქცევა, 18 თებერვლიდან ჩემპიონატის სოფელში, ყოველ უქმე დღეს, დაესწარით ქართველი მსახიობების კონცერტს და მოუსმინეთ რჩეულ ჰიტებს ცოცხალი შესრულებით:

19 თებერვალი - Bedford Falls;
25 თებერვალი - Kordz;
3 მარტი - illages;
4 მარტი - Circus Mircus;

არ გამოტოვოთ DJ პერფორმანსები ყოველი საშეჯიბრო დღის დასასრულს 18 თებერვლიდან - 5 მარტამდე.

ამოდი ბაკურიანში, გახდი წლის მთავარი სპორტული სანახაობის მონაწილე!

დასწრება თავისუფალია.

მსოფლიო ჩემპიონატის სტატისტიკა

მსოფლიო ჩემპიონატისათვის ყველაფერი მზადაა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ,,კოხტა“ პატარძალივითაა მორთული სპორტული სოფელი, რომელიც არაერთ დაუვიწყარ ღონისძიებას გვპირდება.

ჩემპიონატზე 6 შეჯიბრი გაიმართება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი.

ჩემპიონატს ეყოლება 1400 სტუმარი;

მსოფლიო ჩემპიონატს გააშუქებს „ევროსპორტის“ ტელევიზია.

ბაკურიანში მიმდინარე შეჯიბრებებს ნახავს 175 მილიონი მაყურებელი.

10 რჩევა მძღოლთა საყურადღებოდ!

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია მძღოლებს მოყინულ გზაზე ავტომობილით მოძრაობისას გასათვალისწინებელ 10 რჩევას უზიარებს.

ფედერაციის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

სრულად გაასუფთავე ავტომობილი თოვლისგან (მათ შორის სახურავი);

შეამოწმე საბურავების წნევა და დაუშვი 0.5 ატმოსფეროთი (ყველა უნდა იყოს ერთ ნიშნულზე);

მოერიდე ყოველგვარ მკვეთრ მოქმედებას;

დაიცავი სამჯერ მეტი დისტანცია;

მუხრუჭის დროს თუ ჩაირთო ABS არ აუშვა მუხრუჭის სატერფულს (პედალს) ფეხი;

აკონტროლე უკან მომავალი მანქანის დისტანცია;

დაუთმე გზა ცენტრალურ ქუ ჩაზე გამომავალ მანქანებს (მისი საფარი უფრო მოყინულია);

დალმართზე არ აკრიფო ინერ ცია;

თუ მოგზირიალდა, გახსოვდეს საბურავი ყოველთვის უნდა იყოს მიმართული იმ მხარეს საითაც გინდა რომ წავიდეს მანქანა;

თუ არ გიმუშია თოვლის საბურავი, თავი შეიკავე მანქანით გადაადგილებისგან.

P.S. M+S არ არის მოყინული გზის საბურავი თუ არ აწერია winter ან არ ახატია თოვლის ფიფქი. გისურვებთ უსაფრთხო მართვას, - წერია ფედერაციის „feisbuq“ პოსტში.

ზურა აივაზოვის გახსენება



თებერვლის სუსხიანი სიცივე კიდევ უფრო ამძაფრებს შენი არყოფნით გამოწვეულ ტკივილს... სევდიან სიცარიელეს, რომელსაც უშენობა ქვია ვერაფერი ავსებს... წლების სვლა ცრემლის ბრილიანტებად გროვდება, ერთად ისხმება ტკივილის მძივად... 19 თებერვალს უკვე მეოთხე ტკივილიანი წელი მიეწება სევდის ბრილიანტის მძივს... ისე სწრაფად მიფრინავს დრო... შენი მონატრება კი არ ნელდება... შენზე მოგონებები, ფიქრები საგანძურად იქცა ჩვენთვის... ვუზიარებთ და ვამხნევებთ ერთმანეთს მონაცვლეობით... ასე გეფერებით შორიდან... ტკივილის გაძლებას მოგონებათა კადრების ჩანაცვლებით, ცრემლების შეკავებას კი ლამაზი, მხიარული მოგონებებით ვცდილობთ... მართლაც ასე ყოფილა წუთისოფელი, ცოცხალი ადამიანი ყველაფერს უძლებს, ცდილობს, ეჩვევა იმ ყოფას, რომელსაც იძულებულია შეეგუოს... უშენობა გაძლებაა და არა შეგუება... შენი სურათები გულს გვითბობს... შენი შეგონებები, თბილი სიტყვები შენეული ოპტიმიზმი და შემართება სანთლად გვინათებს ამქვეყნიური ცხოვრების გზას... სიზმრად მოფრენილი გვახარებ, გვაფხიზლებ, გვიცავ... თვალები გეძებენ, გული გელოდება... შენი საფლავიდან გვიღიმის შენი ფოტო... თუმცა, ვერაფრით გვიყუჩებს ტკივილს... თითქოს არც იქ ხარ... შენ ხომ ჩვენში ხარ... უფრო გულში გპოულობთ... ფიქრებში გეფერებით... გვიყვარხარ, გვაკლიხარ და გვენატრები უსაზღვროდ... ნათელი და სანთელი არ მოგაკლოს უფალმა უკუნითი უკუნისამდე!

შენი ოჯახი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „ააარში“. თბილისი, თეოდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე